საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-08/22

ქ. ბათუმი 16 -- თებერვალი, 2018 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2018 წლის თებერვალში სამეცნიერო პერსონალის შესარჩევი კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, „ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავებისათვის დამატებითი მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N05 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს ფიტოპათოლოგიის და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის გამძლეობის გენეტიკის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომლისა და ნიკო ბერძენიშვილის ინტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტური თანამდებობების დაკასავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ' ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 16 იანვრის N 01-08/5 ბრძანების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2018 წლის თებერვალში სამეცნიერო პერსონალის შესარჩევი კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

1.1. **დამტკიცდეს საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები საპროცედურო კომისია** შემდეგი შემადგენლობით:

ა) ხათუნა ხალვაში - (ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი (თავმჯდომარე);
ბ) დარეჯან ბარაბაძე - (ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი (თანაშემწე);
გ) ეთერ ხეცოიძე (ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქმისმწარმოებელი.

1.2. **საპროცედურო კომისია ვალდებულია:**

ა) საპროცედურო კომისიის სამუშაო ოთახში მიიღოს კონკურსში მონაწილე პირთა საკონკურსო განცხადებები, ანკეტები და შესაბამისი **დოკუმენტაცია 2018 წლის 16 თებერვლიდან 20 თებერვლის ჩათვლით, 10 საათიდან 16 საათამდე** (მატერიალური სახით წარმოდგენილი დოკუმენტაცია კომისიის მიერ მიღებული იქნეს მას შემდეგ, როცა დადასტურდება ამ დოკუმენტაციის ელექტრონულად (მისამართზე - bsukonkursi2017@bsu.edu.ge) გადმოგზავნა და მიღება;

ბ) საპროცედურო კომისიაში მიღებული დოკუმენტაცია მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე (რომელსაც ხელს აწერს თავმჯდომარე/თანაშემწე) გადასცეს საკონკურსო კომისიას **არაუგვიანეს 2018 წლის 20 თებერვლის 17 სთ-სა;**

გ) დარეგისტრირებული განცხადებების (საკონკურსო ადგილები და კონკურსანტები) შესახებ ინფორმაცია განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე;

დ) **კონკურსანტთა საჩივრები** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) **მიიღოს 2018 წლის 20 თებერვლიდან 26 თებერვლის ჩათვლით, 10 საათიდან 16 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა);**

გ) შემოსული საჩივრები, იმავე სამუშაო დღის 17 სთ-მდე გადასცეს სააპელაციო კომისიას, მათი შემოტანიდან 3 (სამი) კალენდარული დღის განმავლობაში განხილვის უზრუნველსაყოფად, მაგრამ არაუგვიანეს **2018 წლის 28 თებერვლის 17 სთ-სა;**

დ) სააპელაციო კომისიის თხოვნის საფუძველზე, გამოცხადდეს ამ კომისიის სხდომაზე და მისცეს განმარტებები, თუკი აღნიშნული უკავშირდება კონკურსანტის მიერ გასაჩივრებულ საკონკურსო პროცედურებს;

ე) უფლებამოსილების განხორციელებისას იხელმძღვანელოს ,,ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავებისათვის დამატებითი მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N05 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს ფიტოპათოლოგიის და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის გამძლეობის გენეტიკის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომლისა და ნიკო ბერძენიშვილის ინტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტური თანამდებობების დაკასავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ' ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 16 იანვრის N 01-08/5 და წინამდებარე ბრძანებებით.

1.3. საპროცედურო, საკონკურსო და სააპელაციო კომისიების მუშაობის პროცედურული, ორგანიზაციული და ტექნიკური მხარდაჭერის მიზნით **შეიქმნას სამუშაო (საკონსულტაციო) ჯგუფი** შემდეგი შემადგენლობით:

ა) ჟანა ჯიბლაძე (იურიდიული დეპარტამენტის უფროსი);

ბ) ლია გაბაიძე (იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი);

გ) მარინა ბაგრატია (ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი).

1.4. სამუშაო ჯგუფი ვალდებულია:

ა) საპროცედურო, საკონკურსო და სააპელაციო კომისიების მუშაობის პერიოდში, **2018**

წლის 16 თებერვლიდან - 2018 წლის 28 თებერვლის ჩათვლით (სააპელაციო კომისიის ბოლო სამუშაო დღე), გაუწიოს მათ საკონსულტაციო მომსახურება და მიაწოდოს სამუშაო მასალა (რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფორმები);

ბ) ელექტრონულ მისამართზე - bsukonkursi2017@bsu.edu.ge) გადმოგზავნილი კონკურსანტთა დოკუმენტაცია შეინახოს ელექტრონულ მატარებელზე და საჭიროების შემთხვევაში მიაწოდოს საკონკურსო/სააპელაციო კომისიას (შესრულდეს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტის, ხათუნა ხალვაშის მიერ);

გ) სააპელაციო კომისიის თხოვნის საფუძველზე, გამოცხადდეს ამ კომისიის სხდომაზე და მისცეს განმარტებები, თუკი აღნიშნული უკავშირდება კონკურსანტის მიერ გასაჩივრებულ საკონკურსო პროცედურებს;

დ) უფლებამოსილების განხორციელებისას იხელმძღვანელოს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილებით, „2017-2018 სასწავლო წლიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 7 აგვისტოს N 01-08/58 და წინამდებარე ბრძანებებით.

1.5. ეთხოვოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს:

ა) უზრუნველყოფილი იქნეს საპროცედურო, საკონკურსო და სააპელაციო კომისიები წინასწარ გამოყოფილი სამუშაო ოთახებით, რომლებიც აღჭურვილი იქნება შესაბამისი ინვენტარით;

ბ) განსაზღვროს საპროცედურო/საკონკურსო/სააპელაციო კომისიების და სამუშაო ჯგუფის წევრების შრომის ანაზღაურების (დანამატის) ოდენობა.

2. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (კონკურსების და სამართლებრივი აქტების ველებში).

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30).

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**